

სკოპინგის დასკვნა N27

საქმიანობის დასახელება: პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „აგროუბანი“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. გურჯაანი, კარდენახის ქ. №4;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 19.07.2023;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გერგილი“.

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, შპს „აგროუბანის“ მიერ წარმოდგენილია, ქ. გურჯაანში, კარდენახის ქ. №4-ში პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

შპს „აგროუბანის“ საქმიანობაზე 2023 წლის 7 ივნისს გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N 1256/ს), რომლის მიხედვით დაგეგმილი საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელ ტექნოლოგიურ ციკლში გამოსაყენებელი დანადგარები, რაც ასევე დადასტურდა ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ფარგლებში, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების დროს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ეცნობა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს (წერილი N 21/5789).

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს ქ. გურჯაანში, კარდენახის ქ. №4-ში, შპს „აგროუბანის“ საკუთრებაში არსებულ 5431 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 51.01.59.318), სადაც განთავსებულია 6 შენობა, რომელთაგან საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე გამოყენებული იქნება 3 შენობა, კერძოდ: N1, N2 და N3 შენობები (GPS კოორდინატები: X-567908.1158 Y-4622232.1769; X-567964.354 Y-4622258.5479; X-567947.2473 Y-4622298.5159; X-567964.0225 Y-4622305.1743) საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 300 მეტრით.

ტერიტორიას დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება საავტომობილო გზა, აღმოსავლეთის მხრიდან - შპს „აგროპლასტიკის“ (ს/კ: 51.01.59.319) პლასტმასის ნაკეთობების დამამზადებელი ობიექტი. საწარმოდან დაახლოებით 80 მეტრში მდებარეობს კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 2 ხელოვნური ტბორით (ს/კ: 51.01.59.253). უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. ახტალისხევი) მდებარეობს საწარმოს ტერიტორიიდან 240 მეტრში.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია საწარმოს განთავსების უმოქმედობის, ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტები. ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან, გარემოსდაცვითი და ტექნიკურ-ეკონომიური თვალსაზრისით, უპირატესობა მიენიჭა პოლიეთილენის გრანულების გადამამუშავებისთვის იმ დანადგარების გამოყენებას, რომელთა გამაცხელებელ ელემენტებად გამოყენებულია ელექტროენერგია. უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილ იქნა საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი ფაქტორებისა და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მასშტაბის ურთიერთშედარების საფუძველზე. საწარმოს მოწყობის ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტის შერჩევა მოხდა უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილის, საკომუნიკაციო ქსელებთან ხელმისაწვდომობისა და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხების გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, არსებული მდგომარეობით მიწის ნაკვეთზე №1 შენობაში (906.6 მ²) განთავსებულია ნარჩენების აღდგენის საწარმო, №2 შენობაში (123.4 მ²) - ოფისი, №3 შენობაში (11.1 მ²) - ინვენტარის საწყობი. ობიექტზე დაგეგმილია წელიწადში **2864,4 ტონა** პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების (კოდი 15 01 02 - პლასტმასის შესაფუთი მასალა) გადამამუშავება და გრანულების მიღება. ნარჩენების გადასამუშავებლად (ნარჩენების აღდგენა) გამოყენებული იქნება „KAL-DER MAKINA“-ს ფირმის დანადგარებს, ასევე ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული იქნება: ელევატორი, 2 ერთეული აგლომერატი (350 კგ/სთ და 600 კგ/სთ), გრანულატორი (350 კგ/სთ წარმადობით), გამრეცხი ავზი, სეპარატორი, საწური შნევი, შემრევი ბუნკერი და სილოსი. საწარმო იმუშავებს წელიწადში 341 დღე, 24 საათიანი რეჟიმით და წლის განმავლობაში გადაამუშავებს **2864.4 ტ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენს**. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებული იქნება 25 ადამიანი.

სკოპინგის ანგარიშში თანმიმდევრულად არის აღწერილი საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი, კერძოდ: საწარმოში გადამამუშავების მიზნით, შემგროვებელი კომპანიებისაგან (შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე) სატვირთო ავტომობილების საშუალებით (დაპრესილი სახით) კვირის განმავლობაში შეტანილი იქნება 56 ტონა პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენები (02 01 04 - ნარჩენი პლასტმასები (გარდა შესაფუთი მასალისა); 07 02 13 - პლასტმასის ნარჩენი; 12 01 05 - პლასტმასის ნაწილაკები; 15 01 02 - პლასტმასის შესაფუთი მასალა; 16 01 19 - პლასტმასი; 17 02 03 - პლასტმასი; 19 12 04 -

პლასტმასი და რეზინი; 20 01 39 - პლასტმასი), რომლებიც განთავსდება სასაწყობო მოედანზე, საიდანაც საწარმოში დასაქმებული პერსონალის მეშვეობით ჩაიტვირთება ელევატორში და შემდეგ გადაინაცვლებს აგლომერატში. აგლომერატიდან დაქუცმაცებული ნარჩენები გადავა გამრეცხ ავზში, სადაც მოხდება ნარჩენების წყლით დამუშავება (გარეცხვა). დამუშავებული (გარეცხილი) ნარჩენები გადაინაცვლებს სეპარატორში და საწურ შნეკში, ნარჩენებისა და წყლის გასაცალკევებლად. აღნიშნულის პროცესის გავლის, შემდეგ ნედლეული კვლავ მიეწოდება აგლომერატორს დასაქუცმაცებლად. დაქუცმაცებული ნარჩენები გადავა გრანულატორში, სადაც პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის მასა გაცხელება ელექტრო ტენების (გამაცხელებლების) საშუალებით და ფორმირდება გრანულებად. მიღებული მასა, დაყოვნების (გაცივების) შემდგომ, დაიჭრება სასურველ ზომებად და მიღებული პროდუქტი ჩაიტვირთება ტომრებში, შემდგომი რეალიზაციისათვის. **გზმ-ის ეტაპზე დეტალურად უნდა იქნეს განხილული საწარმოში შემოტანილი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის დაზუსტებული უნდა იქნეს იმპორტირებული (არსებობის შემთხვევაში) და ადგილობრივ ბაზარზე მოპოვებული ნარჩენების კონკრეტული რაოდენობები.**

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით. ობიექტის სასმელი წყლით მომარაგება განხორციელდება წყლის ადგილზე მიტანით, ხოლო ტექნიკური დანიშნულების (ნარჩენების გარეცხვა, ნედლეულის გაცივება) წყლისთვის ობიექტზე განთავსდება 18 ტ მოცულობის რეზერვუარი, რომელიც პერიოდულად შეივსება, ავტოცისტერნის საშუალებით. **აღნიშნული საკითხი დაზუსტებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში, ვინაიდან, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ, საწარმოს ადგილზე დათვალიერების დროს გამოვლინდა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია ჭაბურღილი, საიდანაც იგეგმება ზემოაღნიშნული რეზერვუარის შევსება.**

საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლებისთვის და საწარმოო მოედანზე დამონტაჟებული გამწოვისთვის (აგლომერატიდან ნარჩენების შერევის დროს ჰაერთან ერთად ისრუტავს მტვრის ნაწილაკებს, რის შემდეგაც გაივლის გამწოვში, რომელიც აღჭურვილია წყლის სისტემით და წყალთან ერთად ჩადის ბაკში) მოეწყობა საასენიზაციო ორმოები, 3 და 5 ტონის მოცულობით, რომლებიც პერიოდულად დაიცლება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის მიერ. ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად, ობიექტზე ნარჩენების რეცხვა განხორციელდება მეტალის გამრეცხ ავზში (მოცულობა 10 ტ), რომლის წყლით შევსება მოხდება კვირაში ერთხელ 1 ტონა წყლის დამატებით. ნედლეულის გაცივებისას აორთქლებული წყლის რაოდენობა, წლის განმავლობაში იქნება 20 ტონა. საწარმოში წლის განმავლობაში ტექნიკური დანიშნულებით გამოყენებული იქნება დაახლოებით 82 ტონა წყალი. **გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გამოყენების შესახებ, ასევე განხილული უნდა იქნეს საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი წყლების შეკრებისა და შემდგომი მართვის შესახებ დეტალური ინფორმაცია.**

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია. ასევე ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისთვის, შემცირებისთვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოო ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით, ობიექტზე ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას. საწარმოს ექსპლუატაციის დროს, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა მოხდება ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული აგლომერატებიდან და გრანულატორიდან. საწარმოს ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს პოლიმერული მტვერი, ნახშირჟანგი და ძმარმჟავა. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება ტექნოლოგიური ხაზის ოპერირებასთან, რომელიც განთავსებულია დახურულ შენობა-ნაგებობაში. წარმოდგენილი ინფორმაციით, ტექნოლოგიური ხაზის ფუნქციონირებით ხმაურის დონე საწარმოო ობიექტზე არ გადააჭარბებს 80 დეციბალს, ხოლო უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილის (300 მ) გათვალისწინებით, ხმაურით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რაც გზშ-ის ანგარიშში საჭიროებს სათანადო დასაბუთების ასახვას. საჭიროა, ჩატარდეს ხმაურის გავრცელების გაანგარიშება შესაბამისი ლიცენზირებული პროგრამის მეშვეობით, ყველაზე ცუდი სცენარით, მაქსიმალური ხმაურის წარმოქმნის პირობებში (ყველა ტექნიკისა და დანადგარის ერთად მუშაობა).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ობიექტზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება კონტეინერებში და გატანილი იქნება მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე. სახიფათო ნარჩენები (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნაჭრები), ასევე, ნედლეულის რეცხვის პროცესში წარმოქმნილი ქვიშისა და ქვის ნარჩენები (2 ტ) შეგროვდება შესაბამის კონტეინერში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა, აღნიშნული სახის ნარჩენების მართვაზე უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო საწარმო არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიებზე და მათ სიახლოვეს. ნარჩენების აღდგენა განხორციელდება ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, არსებულ კაპიტალურ შენობაში. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს მიწის სამუშაოების განხორციელებას, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას და მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას.

სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საწარმოს მიმდებარედ განთავსებულია შპს „აგროპლასტიკის“ (ს/კ: 51.01.59.319) პლასტმასის ნაკეთობების დამამზადებელი ობიექტი, რომელთან მიმართებით შეფასებულია ატმოსფერულ ჰაერზე და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედებები. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შპს „აგროპლასტიკის“ და შპს „აგროპლასტიკის“ საწარმოების მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობები არ გადააჭარბებს უახლოეს დასახლებულ პუნქტთან ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. ასევე საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირებით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება ხმაურის გავრცელების კუთხით, უახლოეს მოსახლესთან არ გადააჭარბებს ხმაურის დასაშვებ ნორმებს. **მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 70 და 160 მეტრში მდებარეობს შპს „აისის“, ხოლო 150 მეტრში შპს „იმედი დიდუბეს“ საწარმოები. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოს სიახლოვეს არსებული ყველა სამრეწველო ობიექტის შესახებ, ფუნქციური სტატუსების მითითებით, მათ შორის ყურადღება უნდა გამახვილდეს მსგავსი ტიპის სამრეწველო ობიექტებზე. ამასთან, საწარმოს სიახლოვეს არსებული ობიექტების გათვალისწინებით, დეტალურად უნდა იქნეს შეფასებული კუმულაციური ზემოქმედება, როგორც ხმაურისა და სუნის გავრცელების, ასევე ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის კუთხით.**

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე კასპის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა 2023 წლის 11 აგვისტოს, ქ. გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: გარემოს ეროვნული სააგენტოს, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „აგროპლასტიკის“, შპს „გერგილის“ და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები. საჯარო განხილვის ფარგლებში პროექტთან დაკავშირებით დასმული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედებას, სუნისა და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხებს, ასევე, საწარმოს ნედლეულით მომარაგებას და მიღებული პროდუქციის რეალიზაციის საკითხებს. შპს „აგროპლასტიკის“ წარმომადგენლების მიერ აღინიშნა, რომ სუნისა და ხმაურის გავრცელებით, ასევე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევით გამოწვეული ზემოქმედება, უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის

გათვალისწინებით არ იქნება მნიშვნელოვანი. რაც შეეხება საწარმოს ნედლეულით მომარაგების საკითხს, კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საწარმოში შემდგომი გადამუშავების მიზნით, ნარჩენები შეტანილი იქნება შემგროვებელი კომპანიებისაგან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო პროდუქცია რეალიზებული იქნება იმ კომპანიებზე, რომლებიც პროდუქციის დასამზადებლად საჭიროებენ მსგავსი ტიპის ნედლეულს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირებულ იქნა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1 გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.
4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება;
 - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის წარმოდგენილი იქნეს უმოქმედობის (ნულოვანი), ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტები, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების დასაბუთების მითითებით;

- საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის სიტუაციური სქემა და გენერალური გეგმა შესაბამისი აღნიშვნებითა და ექსპლიკაციით, საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების, ასევე გაფრქვევისა და ხმაურის წყაროების მითითებით;
- დაზუსტებული მანძილი საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლის და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტამდე;
- ინფორმაცია საპროექტო საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის დაგეგმილი საქმიანობის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);
- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა, ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური სქემის და ციკლის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით (ნედლეულის მიღებიდან საბოლოო პროდუქტის დამზადების ჩათვლით). ასევე ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი დანადგარებისა აღწერა, თითოეული საწარმოო ობიექტის/უბნის ტექნიკური პარამეტრებისა და ტექნოლოგიური სქემების მითითებით;
- ინფორმაცია საწარმოს ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ტექნოლოგიური ხაზის წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის მითითებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საწარმოში მიღებული ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის კონკრეტული რაოდენობების შესახებ (წლიური, დღეღამური და საათობრივი რაოდენობების მითითებით);
- დეტალური ინფორმაცია სასაწყობე ადგილების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია დასამუშავებლად მისაღები ნედლეულის, წარმოებული პროდუქციის და სხვა თანმდევი პროდუქტების დასაწყობების ობიექტებისა და პირობების შესახებ;
- წლის განმავლობაში გადასამუშავებელი ნედლეულის (ნარჩენების) რაოდენობის შესახებ დეტალური ინფორმაცია. მათ შორის, მითითებული უნდა იქნეს იმპორტირებული (არსებობის შემთხვევაში) და ადგილობრივ ბაზარზე მოპოვებული ნარჩენების კონკრეტული რაოდენობები;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზების და მათი მდგომარეობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნედლეულის შემოტანის და პროდუქციის გატანის პროცედურების/ტრანსპორტირების შესახებ, შესაბამისი სამომრათ მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის სიხშირის მითითებით);

- ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპისა და რაოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია მშრალ ამინდებში საპროექტო ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვის საჭიროების (მორწყვის გეგმა-გრაფიკის მითითებით) შესახებ; ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შემთხვევაში ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ (მაგ: დაბალი სიჩქარე, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა);
- საწარმოს წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია;
- დეტალური ინფორმაცია სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო ჩამდინარე წყლები, ასევე სანიაღვრე წყლების მართვის საკითხების შესახებ;
- საწარმოში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა (ადგილობრივ მოსახლეთა დასაქმების წილი) და სამუშაო გრაფიკი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- საპროექტო ტერიტორიის საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია გზმ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზმის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ.

5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, მათი რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები, ასევე გაბნევის ანგარიში (გაბატონებული ქარების მიმართულებების გათვალისწინებით);
 - გზმ-ის ანგარიშში მავნე ნივთიერებათა არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროები შესაბამისად უნდა იყოს ასახული გამოყენებული ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამა „ეკოლოგი“-ში, ვინაიდან აღნიშნული პარამეტრები პროპორციულად ასახავს საბოლოო მონაცემების სისწორეს;
 - ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები, დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტურობის დასაბუთებით;
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მონიტორინგის გეგმა. მათ შორის, 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით განსაზღვრული

უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის საწარმოში დანერგვის შესახებ დეტალური ინფორმაცია, გაფრქვევის წყაროების, მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტების, თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოს და სტანდარტის მითითებით;

- გზმ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტი;
- ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების შემთხვევაში, გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული - ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზდჩ) პროექტი;
- **ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;**
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე/გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და გრუნტის/მიწისქვეშა წყლებზე (მათ შორის სადრენაჟო/შთამნთქმელი ჭის მოწყობის ადგილზე, გრუნტის წყლების არსებობის შესახებ ინფორმაცია) ზედაპირული და გრუნტის/მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები (დამაბინძურებელი ნივთიერებების ავარიული დაღვრის შემთხვევაში ღრმა ფენებში გავრცელებისა და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი ნარჩენების აღწერა და მათი მართვის საკითხები, ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება;
- ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია ობიექტის სიახლოვეს მსგავსი ტიპის არსებული და დაგეგმილი ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის, განსაკუთრებით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და სუნის გავრცელების ნაწილში. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;

- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება (რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში);
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების წარმოქმნისა და მართვის შესახებ, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული სახის **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ეტაპზე:

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ჰიდროლოგიური ხასიათის ინფორმაცია მიმდებარე ტბებისა და მდ. ახტალისხევის შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში განხილული და გათვალისწინებული უნდა იყოს ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნები;
- ვინაიდან პლასტიკის ნარჩენების სრული აღდგენა შესაძლებელი არ არის, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს პლასტმასის ნარჩენების მიახლოებითი რაოდენობა, რაც აღდგენას არ დაექვემდებარება და ასევე მათი მართვის ღონისძიებები.
- გზშ ანგარიშში მოცემული უნდა იყოს თითოეული დანადგარის აღწერა, რომელიც გამოიყენება ტექნოლოგიურ პროცესში;
- წარმოდგენილი სკოპინგის თანახმად, კომპანია გეგმავს პოლიეთილენის და პოლიპროპილენის ნარჩენების აღდგენას, ამავდროულად, მისაღები ნარჩენების ჩამონათვალში მოცემულია, ნარჩენების ნუსხის ჩამონათვალში (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“) არსებული ყველა არასახიფათო პლასტმასის ნარჩენის კოდი. მათ შორის, ნარჩენების, რომლებიც წარმოიქმნა სამშენებლო და ნგრევის შედეგად და ნარჩენების გადამუშავების საწარმოებიდან (17 020 3; 19 12 04) შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია, როგორ და რა მეთოდებით მოხდება გადამუშავების მიზნით მიღებული ნარჩენების სეპარირება. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იქნას ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, მოსალოდნელი ნარჩენების (კოდი, დასახელება, მიახლოებითი რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ;

- ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ფარგლებში, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ ადგილზე ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია ჭაბურღილი, რის შედეგადაც განხორციელდება 18 ტ მოცულობის რეზერვუარის შევსება. აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ჭაბურღილის პარამეტრებისა და სალიცენზიო პირობების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოს სიახლოვეს არსებული ყველა სამრეწველო ობიექტის შესახებ, ფუნქციური სტატუსების მითითებით, მათ შორის ყურადღება უნდა გამახვილდეს მსგავსი ტიპის სამრეწველო ობიექტებზე. ამასთან, საწარმოს სიახლოვეს არსებული ობიექტების გათვალისწინებით, დეტალურად უნდა იქნეს შეფასებული კუმულაციური ზემოქმედება, როგორც ხმაურისა და სუნის გავრცელების, ასევე ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის კუთხით.
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის - გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა;

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „აგროუბანის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ქ. გურჯაანში, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.